



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს პენსიონატის გაზეთი

№4 (10.109)

24 თებერვალი-2 მარტი, 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქართული ქალის ფენოქენი

გამთაბი უპანასკნელ ჯვარს ითვას. ჯვარს ჯვარს და გავაზრდას ითვას გვიანდობა. ბუნების გამოწვევებზე თანამდებობა საბუნების „სი-სოციალის სანაზრად“ - ჯვარს და ქალის ხოცვა კიდეც ითვას გვიანდობა.

თანამედროვე მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის ტრადიციებიც, ქალის როლიც და მათ მიმართ დამოკიდებულებაც.

ისტორიულად, საქართველო პატრიარქალური კულტურის ქვეყანაა. ჩვენს ქვეყანაში ტრადიციები განსაკუთრებით უყვართ და „უფროსობა დედას“, მოსახლეობის უმეტესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია (83,9% - მოსახლეობის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის მასალები, 2002; აღწერის დროს გამოყენებული იყო ადამიანის რელიგიურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კრიტერიუმი - საკუთარი კონფესიური მიკუთვნებულობის აღიარება).

საქართველოს მძიმე ისტორიული წარსული აქვს, მტრების მუდმივი შემოსევების პირობებში ჩვენი ხალხი სრულ მზადყოფნაში იყო - ის ფაქტობრივად, მუდმივად იბრძოდა ფიზიკური გადარჩენისთვის და საკუთარი კულტურა და იდენტობაც ამ პროცესში ჩამოუყალიბდა; შესაბამისად, ქალი, რომელიც ქვეყანას, ოჯახს ბევრ მეომარს გაუჩენდა, გაუზრდიდა და მოუვლიდა ის „კარგი ქალი“ იყო. ქართველ ქალს არასოდეს დანანებია შვილები სამშობლოს კეთილდღეობისთვის გაენიარა, გაეშვა ომში და სასიკვდილოდ გაემეტებინა, თუ ამას ქვეყნის კეთილი მომავალი მოითხოვდა. დღეს რეალობა ამ კუთხითაც შეცვლილია - დედა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შვილი სამხედრო სავალდებულო სამსახურს ააცილოს...

საინტერესოა ქალის ადგილი საქართველოს ისტორიულ და კულ-

ტურულ კონტექსტში. საქართველო ერთ-ერთია მსოფლიოში იმ ქვეყანათა შორის, რომელშიც ე.წ. დედის კულტურა გამეფებული, თუმცა, ეს ფაქტორი ბევრ ქართველ „ვაჟკაცს“ ხელს არ უშლის, მათი „საყვარელი გინება“ დედის გინება იყოს.

ისტორიული გმირი თამარ მეფე, რომლის მეფობის პერიოდშიც ისტორიკოსების მიერ ოქროს ხანად ფასდება, პირველმა გამოთქვა იდეა პარლამენტის მსგავსი დანესებულების შექმნის, მას დედოფალს მაინც არ ეძახიან, ის - მეფეა. მისი სოციალური სქესი მამრობითია.

მიუხედავად თამარის მიერ შექმნილი ოქროს ხანისა და ქვეყნის სამაგალითო მართვისა, ამდენი საუკუნის განმავლობაში, არავის გასჩენია აზრი, თამარის მსგავსი ქალები სოციალურად სასურველი ტიპები გამხდარიყვნენ. როგორც ჩანს, ქართულ კულტურაში „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“, მხოლოდ მამრი „ლომის ლეკვებზე“ ვრცელდება და გენდერული თანასწორობის იდეასთან კავშირი არ აქვს.

სუსტი სქესის იდეა, თავისთავად, ძალიან საინტერესოა. გამოდინარე იქიდან, რომ აბსოლუტები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ შედარებითი კატეგორიები. სუსტი ყოველთვის უფრო ძლიერთან შედარებით არის სუსტი, ძლიერი კი მასზე სუსტთან შედარებით გვევლინება ძლიერად. ბიოლოგიური თვალსაზრისით, ქალი მამაკაცთან შედარებით სუსტია ფიზიკური ძალის თვალსაზრისით, თუმცა, სოციალური თვალსაზრისით ქალი დ მამაკაცი აპრიორი თანასწორია. ტერმინი „სუსტი სქესი“ ქალებში აღფრთოვანებას არ იწვევს, ვინაიდან სტიგმას, ჩვეულებრივ, შესაბამისი ქცევაც მოსდევს, რომელიც პირდაპირპროპორციულად ქალის



ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ დაკნინებას მოიპოვებს. მამაკაცებისთვის კი ქალზე უპირატესობის განცდა (რასაც არ უნდა ეფუძნებოდეს იგი), მათი სოციალური იდენტობის საკვებაა.

საქართველოში ბოლო ოცნლეულის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა: აფხაზეთის და სამოქალაქო ომი, 9 აპრილი, საბჭოთა კავშირის რღვევა, ახალი სისტემა, ახალი ნყოფილება, მერე რევოლუცია, მერე ისევ ომი. ამ ყველაფერს, კი თან გასდევდა გაუსაძლისად მძიმე სოციალური ფონი. 90-იან წლებში დაინიშნა ეკონომიკის ელვის სისწრაფით წგრევა. სამუშაო ადგილები ფაქტიურად არ არსებობდა. ქართველი კაცები სახლში ჩასხდნენ.

ქართველი ქალის შესამკობად ხშირად იყენებენ ისეთ ეპითეტებს, როგორებიცაა: კდემამოსილი, მორჩილი, თავდახრილი, მშვიდი, დამყოლი, ნაზი... სწორედ, ამ კდემამოსილმა ქალებმა „ივაჟკაცს“ და ოჯახის რჩენას შეუდგნენ, მამაკაცები კი მაინც ოჯახის ფსევდო-ბურჟუაზიად დარჩნენ. ქალები ჯერ სამსახურში, მერე სახლში „მსახურობდნენ“ (ახლაც განაგრძობენ). ამას დაემატა ემიგრაციაში წასული ქალების კოჰორტა და ბებიებისა და მამების იმედად დარჩენილი შვილების ყოფა, ფულის „მჭრელ დაზგებად“ ქცეული დედები და გაზულუქებული მეუღლეები და შვილები...

ქართველმა ქალმა ეკონომიკური გაჭირვება დაამარცხა, ოჯახი გადაარჩინა, შვილებს ასწავლა, მაგრამ რის ფასად? ძალიან ბევრი დედა წერს იმ განცდებზე, რაც მან ემიგრაციაში გამოიარა. ყველა ისტორია ერთმანეთს ჰგავს - როგორ უძლებდნენ ისინი შვილების მონატრებას, მძიმე შრომას და გაუსაძლის პირობებს შვილების კეთილდღეობისთვის, მაგრამ როგორ ვერ აიტანეს შვილებმა ემიგრაციიდან

დაბრუნებული, დავრდომილი დედები თავიანთ ნაამაგარ სახლებში, როგორ გაუუცხოვდნენ ოჯახის წევრები და ზედმეტ ტვირთად იქცნენ მათთვის...

მუდმივად გვესმის, რომ ქართველი ქალი მსოფლიოს სხვა ქალებსგან განსხვავებული ფენომენია, ოღონდ დადებითი თვალსაზრისით. მაგრამ, არ ჩანს დაინტერესება, თუ როგორები არიან ქართველი მამაკაცები, რომლებიც ამ „კდემამოსილ“ ქალებზე ძალადობენ.

საქართველო იმ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება, რომლებშიც ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობა ქალია. აღნიშნულ მდგომარეობას, გარემოებათა მთელი რიგი განაპირობებს. მათ შორის ისევე ე. წ. ტრადიციული მდგომარეობა, ოდითგანვე, მისი სოციალური სტატუსი ბევრად ჩამოუვარდობდა მამაკაცისას. ის ჯერ მამის, შემდეგ კი ძმის მორჩილი უნდა ყოფილიყო. ბავშვი რამე შეიცვალა საქართველოში, თუმცა, ეს მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

საზოგადოების უმრავლესობა ქალზე ძალადობას სწორედ ქმრის ურჩობის მოტივით ამართლებს და ქალის დადანაშაულებას განაგრძობს. ამისი ბრალიცაა, რომ ფემინიციდის შემთხვევები კვლავ მზარდია საქართველოში, ქვეყანაში, სადაც სუფრასთან ერთ-ერთი გამორჩეული სადღეგრძელო ქალისა და დედის სადიდებელი სადღეგრძელოა.

სუსტის სხავისთავი ხეაფხი სხოვნიანაჟი ხომ გავმოვნიანა. ნაფვიანაჟ აჟ იქნაჟოჟა უხიმო! იქნაჟ აჟაჟაჟ გვეუნიანა. სანაჟ აჟაჟაჟის მსხვერპლთა ქაჟთა ჯიწრის წაჟიშთ გასაჟაჟიანაჟაჟ მხახი ჩვენი ჯუჟიანთ ჯაჟუჟიანთ!



მომზადდა ინგა შიოლაშვილი

სოფლის საერთო კრებები დასრულდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელს განსახორციელებელი ყველა პროექტი გამოვლენილია. პროგრამით გათვალისწინებული დასახლების საერთო კრებები ყველა სოფელში ჩატარდა და სოფელ თავწყაროს მოსახლეობასთან გამართული შეხვედრით დასრულდა. ცენტრალური ბიუჯეტიდან დედოფლისწყაროს სოფლებისთვის წელს 276 000 ლარია გამოყოფილი, ყველა სოფელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარკვეულ თანხას დაუმატებს დედოფლისწყაროს მერია, სამუშაოები კი მომდევნო თვეებში დაიწყება.

სოფელ თავწყაროს მოსახლეობამ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები ხმათა უმრავლესობით შეარჩია. **მანანა ჯინჯიფილი (თავწყაროს მკვიდრი):** „თავწყაროში წყლის პრობლემა უკვე მოგვარდა, ბოლო წლებში გაზიც შემოვიყვანეთ, მხოლოდ გზების პრობლემა გვანუხებს და სოფლის კრებაზე მოსახლეობამ გზების მონესრიგების საკითხი დააყენა. ცენტრალური გზიდან სოფელში შემოსასვლელი გზა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ შიდა საუბნო გზები მისახვედია, ნალექიან ამინდში ტალახია და უზარმაზარი გუბები დგას. ხალხმა მოითხოვა,



რომ გზები მოიხრეშოს მიწი, რომ მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდეს. ვინაიდან სოფლის პროგრამის თანხა მცირეა, მხოლოდ მოხრეშვას შევძლებთ. კრებაზე აღინიშნა, რომ მერია კიდევ დაგვიმატებს თანხას. რამდენიმე თვეში მოიხრეშება ალბათ და პირადად ჩემს უბანზე არ დგას ეს პრობლემა, მაგრამ ვისაც ანუხებს, მათი მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდება. გასულ წელს სოფლის პროგრამით სასაფლაოზე ფარული მოწყობა და ტუალეტი აშენდა.

რაც შეეხება თავწყაროში არსებულ სხვა პრობლემებს, სასმელი წყალი წყაროდან მოგვეწოდებოდა, რომელიც არ იყო საკმარისი. სულ ახლახან, გაკეთდა ახალი ჭაბურღილი, მოწყობა ქსელი და დამატებითი რესურსი მივიღეთ. სოფელში 50 ტონიანი რეზერვუარი დამონტაჟდა და მას შემდეგ უნდა ითქვას, რომ წყლის პრობლემა აღარ გვაქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი თავწყაროსთვის ბუნებრივი აირის შემოყვანა იყო, რომელიც აქ არასოდეს ყოფილა. წარმოდგინეთ როგორ ვნახობდით, გაზის ბალონებს დავატარებდით რაიონში დასატვირთად. ხშირად საკვებს შემის ღუმელზე ვამზადებდით. ახლა კი გასათბობადაც ბუნებრივ აირს ვიყენებთ და საჭმლის მოსამზადებლადაც. ბევრად გამარტივდა და კომფორტული გახდა ჩვენი ცხოვრება. შემაც დაიზოგება. ბოლო ხანს მოწყობა ქუჩებში განათებებიც. გაკეთებულია ამბულატორია და სოფლის რწმუნებულის ოთახები, ეზოში ფარდულები მოწყობა. სოფლის ექიმიც გვეხმარება, ვისაც რაიმე პრობლემა აქვს ვუკავშირდებით ხოლმე. სხვათაშორის, ორი თვის წინ თვალის ექიმების საქველმოქმედო აქცია ჩატარდა, ადგილობრივებიც უფასოდ გასინჯეს და სოფლის სტუმრებიც. ვისაც ოპერაცია დასჭირდა, მიზეზურ ფასად გაუკეთეს.



ამჟამად სოფელში დაახლოებით 25 ოჯახი იქნება, ძირითადად მოხუცები... ჩვენთან ახალგაზრდები ისევ არ არიან. საბავშვო ბაღი და სკოლა რომ არ არის, ბავშვიანი ოჯახები იშულებული ხდებიან ამის გამო დედოფლისწყაროში, ან სხვა ქალაქებში წავიდნენ. სხვა რა გზაა, ვე-გუებით ასეთ რეალობას“.

მანანა ჯინჯიფილი (მერის რწმუნებული ოზანასა და თავწყაროში): „ვინაიდან სოფელ თავწყაროში წყლის ახალი მიწები დაიფინა, უბნებში ორმოები საკმაოდ ღრმად გაითხარა და ამის გამო შეექმნათ ტალახის პრობლემა, რადგან ბევრი აყალიბდა მინა ამოვიდა. სწორედ ამიტომ ითხოვენ ადგილობრივები, რომ მოიხრეშოს გზები. დაგრეიდერდება და შემდგომ სატყეპნი მანქანა გაივლის, რომ კარგად მოსწორდეს. სოფლის პროგრამის ფარგლებში ძირითადად ორი, ზედა და ქვედა უბნების შიდა გზების მონესრიგება მოხდება. თუმცა ეს ყველაფერი არ არის, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, მერია უკვე შეისყიდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცენტრალური გზიდან სოფელამდე მოსასვლელი გზის ასფალტირებას. მომზადებული და შექმნილია ამ გზის პროექტი. ახლა მხოლოდ საჭირო დაფინანსების მოპოვება დგას დღის


წესრიგში და როგორც კი დაფინანსების წყარო გამოჩნდება, მერია ტენდერს გამოაცხადებს. ჯერ ვერ გეტყვით, სადამდე დაიგება ასფალტი, გააჩნია თანხის მოცულობას, შესაძლოა შესასვლელამდე მოასვალტდეს. შეიძლება გარდამავალი პროექტი იყოს და მომდევნო წელს გაგრძელდეს. თავწყაროლებს სხვა პრობლემები აღარ აქვთ, ამიტომაც სოფლის კრებაზე მხოლოდ გზების საკითხი წამოიჭრა. წყლის სისტემაც მთლიანად განახლებული და გამართულია. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ დაუკვეთა სამუშაოები, ინდივიდუალური ჭა გაკეთდა და საკმარისზე მეტი წყალი მივიღეთ. რაც მთავარია მოხდა ოჯახების გამრიცხველიანება და აღარ მოხდება წყლის უკონტროლო დაღვრა. მრიცხველები იმის იმედს გვაძლევს, რომ არც ზაფხულში გვექნება წყლის პრობლემა. თუმცა ორი სხვადასხვა წერტილიდან მივწოდებთ წყალს. 30-ზე მეტი აბონენტია, მაგრამ ყველა ოჯახი მუდმივი მაცხოვრებელი არ არის. ასევე მათთან გაზი შევიდა, რაც არასოდეს ყოფილა და ბევრად გაუმჯობესდა მათი მდგომარეობა. მაქსიმალურად ვცდილობთ ადგილობრივების მხარდაჭერას“.

ილია მარტყოფლიანი

FLEX-ის პროგრამის გამარჯვებული ზემო მარხაანიდან

უპრეცედენტო მოვლენა ზემო მარხაანის საჯარო სკოლის ისტორიაში. IX კლასის მოსწავლე **თაქო ბენაშვილი** ამერიკული FLEX-ის სასწავლო პროგრამის გამარჯვებული გახდა. ის ერთ წელს აშშ-ში გაატარებს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, კომენტარი ზემო მარხაანის საჯარო სკოლის დირექტორს, **საბარბაქო მამაძლარაშვილს** ვთხოვეთ: „ძალიან ბედნიერები და კმაყოფილები ვართ, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლემ ასეთ დიდ შედეგს მიაღწია. მინდა გითხრათ, რომ თაკო ყოველმხრივ განვითარებულია, ყველა ასპექტში. ყველა საგანს ძალიან კარგად სწავლობს,



რაც დღესდღეობით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ძალიან მიზანდასახულია. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სკოლა, რა თქმა უნდა, გვერდით უდგას და მომავალშიც აუცილებლად დაეხმარება, თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში. უამრავი გასაუბრებისა და ტესტირების შემდეგ, 22 თებერვალს, ჰქონდა 2 საათიანი, საბოლოო ტესტირება, რომელიც იყო ბოლო ნაბიჯი. მან ტესტი შესანიშნავად დაწერა და ფინალისტი გახდა. ამ პროგრამაში მხოლოდ ერთი მოსწავლეა დედოფლისწყაროდან და ეს სწორედ თაკო ბენაშვილია. ჩვენი სკოლა ამაცობს მისით და უსურვებს შემდგომ წარმატებებს!“.

ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა „FLEX“ შესაძლებლობას აძლევს ქართველ უფროსკლასელებს ისწავლონ ამერიკულ სკოლებში და იცხოვრონ ამერიკულ ოჯახებში. პროგრამას აფინანსებს ამერიკის მთავრობა და ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები. თაკო ბენაშვილთან ვრცელ ინტერვიუს გაზეთი „შირაპი“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

მანანა ჯინჯიფილი

მერმა ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი კონსტრუქციული კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.



„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების მონიტორინგს აქტიურ რეჟიმში ახორციელებს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული პროექტი დროულად და ხარისხიანად

განხორციელდეს“ - აღნიშნა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ენერგოეფექტური ღუმელების პროგრამა ხორციელდება

საქართველოს მთავრობის შევიცარის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სამინისტროსთან ერთად ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამას ახორციელებს.

პროგრამის პრეზენტაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა. შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

პროექტის ფარგლებში, სოფლის განვითარების სააგენტო ენერგოეფექტური და ალტერნატიული საწვავის ბაზრის განვითარების ხელშეწყობას უზრუნველყოფს.

ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის ენვეთ სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ გვერდს.



კალჭუნის ექსპერიმენტი და დღევანდელი საზოგადოება

ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ექსპერიმენტი მეცნიერების ისტორიაში, რომელიც „თავების კოლონიის ქცევით“ არის ცნობილი, ემსახურებოდა მეცნიერთა მცდელობას, აეხსნათ ადამიანთა საზოგადოების განვითარება.

„სამყარო 25“-ის იდეა ამერიკელ მეცნიერ ჯონ კალჭუნს ეკუთვნის, რომელმაც შექმნა „იდეალური სამყარო“, სადაც ასობით თავი იცხოვრებდა და გამრავლდებოდა. უფრო კონკრეტულად, კალჭუნმა ააგო ე.წ. „ვირთების სამოთხე“, სპეციალურად შექმნილი ტერიტორია, სადაც მღრღნელებს ჰქონდათ საკვები და წყალი, ასევე დიდი საცხოვრებელი ფართი.

დასაწყისში მან ამ ტერიტორიაზე მოათავსა ოთხი წყვილი თავი, რომლებმაც მოკლე დროში დაიწყეს გამრავლება, რამაც პოპულაციის სწრაფი ზრდა გამოიწვია.

თუმცა, 315 დღის შემდეგ მათი რეპროდუქცია მნიშვნელოვნად შემცირდა. როდესაც მღრღნელების რაოდენობამ 600-ს მიაღწია, მათ შორის იერარქია ჩამოყალიბდა, შემდეგ კი ე.წ. უფრო დიდმა მღრღნელებმა დაიწყეს მცირე ჯგუფზე თავდასხმა, რის გამოც ბევრ მამრს დაწყვიტეს ფსიქოლოგიური პრობლემები. შედეგად, მღრღნელები არ იყვნენ დაცულნი და, თავის მხრივ, აგრესიული ხდებოდნენ თავიანთი პატარების მიმართაც კი. დროთა განმავლობაში მათ აჩვენეს სულ უფრო აგრესიული ქცევა, იზოლაციის

მტკიცებულება და რეპროდუქციული მისწრაფებების ნაკლებობა. იყო დაბალი შობადობა და, ამავდროულად, გაიზარდა სიკვდილიანობა ახალგაზრდა მღრღნელებში.

შემდეგ გამოჩნდა მამრი მღრღნელების ახალი კლასი, ე.წ. „ლაზაზი თავები“, რომლებმაც უარი თქვეს მღრღნელებთან შეწყვილებაზე ან მათი სივრცისთვის „ბრძოლაზე“. მათ მხოლოდ კვება და ძილი აინტერესებდათ. ერთ დროს „ლაზაზი მამრები“ და „იზოლირებული მღრღნელები“ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

კალჭუნის მიხედვით, სიკვდილის ფაზა შედგებოდა ორი ეტაპისგან: „პირველი სიკვდილი“ და „მეორე სიკვდილი“. პირველს ახასიათებდა ცხოვრების მიზნის დაკარგვა უბრალო არსებობის მიღმა - არ იყო სურვილი შეწყვილების, ახალგაზრდობის აღზრდის ან საზოგადოებაში როლის დამკვიდრებისა.

დროთა განმავლობაში არასრულწლოვანთა სიკვდილიანობამ 100%-ს მიაღწია და რეპროდუქცია ნულამდე მივიდა. საფრთხის ქვეშ მყოფ თავებს შორის დაფიქსირდა ჰომოსექსუალიზმი და, ამავდროულად, გაიზარდა კანინალიზმი, მიუხედავად იმისა, რომ საკვები ბევრი იყო.

ექსპერიმენტის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ, კოლონიის ბოლო თავი დაბნა. 1973 წლისთვის კი „სამყარო 25“-ში უკანასკნელი თავი მოკვდა.



ჯონ კალჭუნმა იგივე ექსპერიმენტი 25-ჯერ გაიმეორა და ყოველ ჯერზე შედეგი იგივე იყო.

რამდენად მნიშვნელოვანია კალჭუნის ექსპერიმენტი დღევანდელი სოციუმისთვის?

თუ შევხედავთ დღევანდელ რეალობას, ამ ექსპერიმენტსა და ახლანდელ საზოგადოებას შორის, სამსუხაროდ, ბევრი პარალელი გავლენაა შესაძლებელი. დღეს სახეზეა სუსტი, ფემინიზებული მა-

რობითი სქესის წარმომადგენლები მცირე უნარებით, ან დამცავი ინსტიტუტების გარეშე და აღზნებული და აგრესიული ქალები, დედობრივი ინსტიტუტების გარეშე. კალჭუნის სამეცნიერო ნაშრომი გამოყენებულია, როგორც მოდელი სოციალური რღვევის ინტერპრეტაციისთვის და მისი კვლევა ურბანული სოციოლოგიის შესწავლის ფოკუსია.

რატომ არ შეიძლება გარეთ ნაცვამი ფეხსაცმლით სახლში სიარული

ყოველ კვირას ჩვენ ახალ კვლევებს ვკითხულობთ, სადაც განმარტებულია თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ზოგიერთი ეკოლოგიური ფაქტორი ჩვენს ჯანმრთელობაზე, ან აღმოჩენილია თუ არა საფრთხე, რომელსაც ჩვენი ერთ-ერთი საყოფაცხოვრებო პროდუქტი, ან მოვლის საშუალება იწვევს. კიბო დაუკავშირეს გამწმენდ საშუალებას, დემენცია (ტვინის ორგანული დაზიანება) ანტი-პერსპირანტს, ჯანსაღი პროდუქციის ნაკლებობას, ხოლო ასთმა - ჰაერის დაბინძურებას. ამიტომ, აუცილებელია დავიცვათ საყოფაცხოვრებო გარემო, რათა, უპირველესად, შევინარჩუნოთ საკუთარი ჯანმრთელობა.

რთულია მოუსმინო იმ საფრთხეს, რაც შეიძლება გარემომ მიაყენოს ადამიანს, მაგრამ ამჯერად იმ საფრთხეზე უნდა ვისაუბროთ, რომელსაც გარეთ ნაცვამი ფეხსაცმლით სახლში სიარული უქმნის ადამიანს. ექიმი გიორგი ლოლობერიძე გადაცემაში „მთავარი დიაგნოზი“ 4 მთავარ მიზეზს ასახელებს, თუ რატომ არ შეიძლება, გარეთ ნაცვამი

ფეხსაცმლით სახლში სიარული:

„ჩატარდა კვლევა, რა დროსაც იატაკიდან ბაქტერიების, სოკოსა და ვირუსების ნიმუშები აიღეს. ნახეს, რომ სამივე ბაქტერია გავრცელებული იყო ისეთ იატაკებზე, სადაც ხალხს ჩვევად ჰქონდა, გარეთ ნაცვამი ფეხსაცმელი არ გაეხადა. შემთხვევათა 22%-ში მეთიცილინ-რეზისტენტული ოქროსფერი სტაფილოკოკი აღმოჩნდა. ეს ბაქტერია საშინელებაა, რადგან მასთან ბრძოლა ძალიან რთულია. ის უძძიმეს დაავადებებს იწვევს, დაწყებული ფილტვების ანთებიდან, მთავრებული კანის ინფექციებით. როგორც აღვნიშნე, მის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან რთულია, რადგანაც თითქმის არც ერთ ანტიბიოტიკზე ეფექტურად მგრძობიარე არ არის.

შემთხვევათა 33%-ში ვანკომიცინი რეზისტენტული ენტეროკოკი აღმოჩნდა. ესეც საკმაოდ მძიმე ბაქტერიაა და შესაძლებელია, რომ ოთახში სწორედ ფეხსაცმლით შემოვიტანოთ. ის ბაქტერიები, რომლებიც გარესივრცეში არიან, ძალიან მედგრად გამოიყურებიან, ქუჩა-

ში ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების პირობებშიც კი არ განადგურდნენ და იმის გამო, რომ ფეხსაცმელს არ ვიცვლით, ისინი სახლში შემოგვყავს და ვავრცელებთ. თუ სახლშია ადამიანი, რომელსაც იმუნური სისტემა დაქვეითებული აქვს, ან აქვს ქრონიკული დაავადება, მოხუცია ან ბავშვია, მათთვის ეს ბაქტერიები სახიფათოა. ხშირად ავადდებიან და გვიკვირს, თუ საიდან დაემართათ ესა თუ ის ვირუსი.

ასევე, კვლევის თანახმად, ყველაზე უფრო ხშირად აღმოჩნდა ბაქტერია, რომელსაც შეუპოვარი ფალარათის გამოწვევა შეუძლია. ეს ბაქტერია ანტიბიოტიკების მიმართ ძალიან მედეგია. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ფეხსაცმელი გარეთ გაცვიათ და სახლში გყავთ ადამიანი, ვისაც იმუნური სისტემა დაქვეითებული აქვს, აქვს ქრონიკული დაავადებები, როგორებიცაა შაქრიანი დიაბეტი, ან ასაკით დიდია, ან კიდევ ძალიან პატარაა და იატაკზე დალოდავს, მაშინ მოერიდეთ სახლში იმ ფეხსაცმლით შესვლას, რომელიც გარეთ გეცვიათ. ის

ბაქტერიები იატაკიდან ყოველ ჯერზე, როდესაც გაივლით, ჰაერში აიფრქვევიან და აეროზოლის სახით გავრცელებიან ხოლმე. აღმოჩნდებიან ტელევიზორზე, მაცივარზე, მაგიდაზე...

გარდა ამისა, თუ სახლში გარეთ ნაცვამი ფეხსაცმლით შეხვედით და ოჯახის სხვა წევრებს „ჩუსტები“ არ აცვიათ, პირდაპირ წინდებით გადაადგილდებიან, ბაქტერიები წინდებით შეინოვება. როდესაც წინდას გაიხდიან, შესაძლოა, ხელი თვალებზე, ცხვირზე, პირზე მოისვან და ასე აღმოჩნდეს ბაქტერიები ორგანიზმში. გარეთ კი ქუჩაში უამრავი ნერწყვი, ცხოველების ფეკალიები, ბაქტერიები იყო და ეს ყველაფერი, შესაძლოა, პირის ღრუში აღმოჩნდეს. ამიტომაც, გარეთ ჩაცმული ფეხსაცმლით სახლში სიარულს მოერიდეთ.

კიდევ ერთი მონაცემებით, რატომაც სახლში გარეთ ნაცვამი ფეხსაცმლით არ უნდა იაროთ, მცენარის მტვერია. ზოგიერთ ადამიანს მცენარის მტვერზე ალერგია აქვს. როგორც კი მცენარეები აყვავილებას დაიწყებენ, უკვე აცემინებენ, თვალებიდან ცრემლი მოსდით. ზოგჯერ სახლში არიან და მაინც ეწყებათ მსგავსი ალერგიული რეაქციები. შესაძლოა, გარედან სწორედ ფეხსაცმლით შემოიტანოთ და ამან ალერგია გამოიწვიოს.

თუ გარეთ ნაცვამი ფეხსაცმლით მაინც დადიხართ ოთახში, მაშინ ხალიჩები აუცილებლად აიღეთ. ასევე, ყოველ საღამოს სველი წესით, სპეციალური ხსნარებით დაალაგეთ. თუმცა ხსნარების შემთხვევაში ყურადღებით იყავით. ხსნარების ორი სახეა: დეტერგენტები და დეზინფექტანტები. დეტერგენტები უშუალოდ მტვერს, ჭუჭყს ამორბენ, მაგრამ ისინი ბაქტერიებს არ კლავენ. მაგრამ, თუ დეზინფექტანტს გამოიყენებთ, ის ბაქტერიებსაც მოკლავს. ამიტომ, ყურადღებით იყავით - ამბობს გიორგი ლოლობერიძე.

მართალია, უმეტესობა ჯერ კიდევ ვერ ხედავს კავშირს ჩვენს მოქმედებასა და მის უარყოფით გავლენას შორის ჩვენს ჯანმრთელობაზე, უარყოფის ან არ ცოდნის გამო, მაგრამ ფაქტია - ყველა ჩვენი ქმედება ერთმანეთთანაა დაკავშირებული ჩვენს ჯანმრთელობასთან და ჯანმრთელ გარემოსთან.



ორი წელი რუსეთ-უკრაინის ომიდან

კონფლიქტი დედოფლისწყაროელი დევნილების თვალთ

22 თებერვალს უკრაინაში რუსული საომარი მოქმედებების დაწყებიდან ორი წელი გავიდა. წარმოუდგენლად დიდი ტრაგედიების ფონზე კონფლიქტი დროში გაიწვია და დასასრული ისევ არ უჩანს. უკრაინიდან დევნილი რამდენიმე ოჯახი ომის დაწყებისთანავე დედოფლისწყაროშიც გამოჩნდა.

სამრეკლოში მცხოვრებ უკრაინელ დევნილ ქალბატონს, რომელსაც ასაკოვანი მამა სწორედ დედოფლისწყაროში ყოფნისას გარდაეცვალა „შირაქთან“ ომის მტკივნეული დღეების გახსენება არ სურს. სოფელ ხორნაბუჯში ჩამოსული დევნილი გოგონა კი თბილისში დასაქმდა და ამ მიზეზით მათთან გასაუბრება ვერ შეეძლო.

ქვემო ქედის ნასული ნუნუ ლუბიანურისა და ნოდარ პაპიაშვილის ოჯახი უკრაინაში 20 წელზე მეტი ცხოვრობდა და საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ისინი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდნენ.

ნუნუ ლუბიანური: „ომის დაწყებიდან მეორე დღესვე ჩემს ქალაქში ბომბები ჩამოყარეს. ირგვლივ რამდენიმე სამხედრო ნაწილია განთავსებული და ძირითადად ისინი დაბომბეს. გამთენიისას, დილის 4-5 საათზე თვითმფრინავებისა და შემდეგ აფეთქებების ხმამ გამოგვალვია. მიუხედავად ამისა, ქვეყნის დატოვებასა და საქართველოში წამოსვლაზე არც გვიფიქრია. მაგრამ რადგან ბავშვები გვყავს, მომდევნო დღეებში მაინც გადავწყვიტეთ ჩამოვსულიყავით. წამოვედით თუ არა, ჩვენი ქალაქის სამხედრო კომისარიატთან ომში ნასვლის მსურველთა იხსილად რიგი დავინახე, ბავშვებისა და იმედი მომაცა. ერთ-ერთი, რამაც გულწრფელად გამოაცხადა ისაა, რომ ასეთი რიგები იყო მთელ უკრაინაში. ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ საოცრად მეტძობი ხალხია და არაფერს დათმობენ. სამი ავტომობილით წამოვედით, ოდესიდან გადავკვეთეთ საზღვარი, მაშინ ოდესა არ იბომბებოდა, ოკუპანტები ჯერ იქამდე მოსული არ იყვნენ. აეროპორტი ორი წელია არ მუშაობს, ამიტომ კომინიოვიდანაა ფრენა და ხალხი ამ მარშრუტს იყენებს. ჩვენ ოდესიდან მოლდოვაში გადავადით, იქიდან რუმინეთში, შამლაბ ბულგარეთში და თურქეთის გავლით სარჯის საბაჟოდან აჭარაში შემოვადით. ოდესამდე გზაზე ბლოკ-პოსტები გვხვდებოდა, მაგრამ რაიმე დაბრკოლებები არ გვქონია და უპრობლემოდ ვიმგზავრეთ. 10 მარტს უკვე აქ ვიყავით. ჩემი შვილები იქ დარჩნენ, მე, ჩემი მეუღლე, რძლები და შვილიშვილები



კი აქ ჩამოვედით. 1 წლის განმავლობაში დარჩნენ და ვითარება შედარებით რომ დასტაბილურდა და ომს დასასრული არ უჩანდა, ახალგაზრდები ისევ დაბრუნდნენ, შემდეგ ჩემი მეუღლეც წავიდა და ამჟამად მე ისევ ქვემო ქედში ვარ. ალბათ აღარც წავალ, ისეთ ასაკში ვართ, ამხელა გზაზე სირულის შესაძლებლობა აღარ გვაქვს.

— რატომ გადახვედით დედოფლისწყაროდან უკრაინაში საცხოვრებლად და გაგიჭირდათ თუ არა იქ დამკვიდრება?

— ჩემი შვილები ქვემო ქედში დაიბადნენ და გაიზარდნენ. უკრაინაში საცხოვრებლად 2000 წელს გადავედით. ჯერ ჩემი მეუღლე წავიდა, შემდეგ სკოლა რომ დაამთავრეს, შვილებიც წავიყვანეთ. 22 წლის განმავლობაში კიევიდან 70 კილომეტრში კიევის, ოლქის ქალაქ ბილა ცერკვაში ვიცხოვრეთ. კმაყოფილი ვარ ამ ქვეყნის. შვილები იქ დასაქმდნენ, დაოჯახდნენ. 2 ვაჟი და 5 შვილიშვილი გვყავს. უფროსი შვილიშვილი 14 წლისაა, პატარა კი ორის. ცხადია, მათ ქართული იციან და სახლში ქართულად საუბრობენ... ერთი რძალი ქართველია, უფროსი რძალი კი უკრაინელი. ჩვენ საქართველოს მოქალაქეობა არც დაბრუნებულა, უკრაინაში ცხოვრობენ. ვინაიდან შვილები უკრაინის მოქალაქეები არ არიან, შინაგანად, არც ომში გაუწვევიათ. თუმცა, ისინი დღემდე იქ რჩებიან და ბიზნესში საქმიანობენ. სხვათაშორის, ფრონტს ძალიან ეხმარებიან და უამრავ ქველმოქმედებას ეწევიან. ჩვენ რომ წამოვედით, ჩვენი ოლქი დაიბომბა, შემდეგ საქართველოდანაც ვეზ-

მიანებოდით მეზობლებს, მეგობრებს და კიდევ იყო შეტევები, მაგრამ ომში ნათესავები, მეგობრები, ან ახლობლები არ დავგდებულა. თუმცა, ეს ომის ტკივილს ვერ ამიანის და მეტროპოლის სიცოცხლე შეენირა და განვიცდით ამას.

უკრაინაში ცხოვრების მანძილზე ჩვენს ქალაქში მცირე მენარმის სტატუსი მიქონდა და კაფე-საკონდიტროს ვამუშავებდი, კმაყოფილი ვიყავი, საქმე კარგად მიდიოდა. ადგილობრივებს ქართულ-უკრაინულ კერძებს ვთავაზობდი.

ამ ხნის მანძილზე 4-5 ჯერ მაინც ჩამოვედით დედოფლისწყაროში, ომის შემდეგ კი ქვემო ქედში ჩვენს სახლ-კარს ხელი შევავლეთ, კეთილმოვანყეთ და ჩვენი მშობლიური კერა გავაცოცხლეთ. ამდენი წელი სახლი რომ დაკეტილია, ცხადია აღდგენა სჭირდება. სხვათაშორის, სოფელში ბავშვი რომ უკეთესად იყავი, სოფელი მოსახლეობისგან იცვლება, მაგრამ ახლა ნორმალურად გვაქვს. მეურნეობას მივდევ და სოფლის ცხოვრებით ვცხოვრობ. ზაფხულში მეუღლე ჩამოვა, ახლა შვილებს ეხმარება, სახლს ყურადღებას აქცევს. მადლობა ღმერთს, ჩვენს ქალაქში ახლა სიმშვიდეა. ყოველთვის ვუყურებ სატელევიზიო ახალ ამბებს, თვალყურს ვადევნებ ომის ამბებს. იქიდან მაიმედებენ, რომ მშვიდობიანად არიან, მაგრამ, ვერ გეტყვით, მიფრთხილდებიან, თუ ნამდვილად ასეა.

— როგორ ფიქრობთ, რატომ დაიწყო რუსეთმა ომი და რატომაა მათი მეთოდები ასე სასტიკი?

— გაოგნებული ვარ, არ ვიცი ეს ომი რატომ დაიწყო. საქართველოს შემთხვევაში კიდევ გასაგებია რუსეთის აგრესია, მაგრამ უკრაინელები ხომ მათგან განუყოფელი ერთი, რატომ ებრძვიან? სიმართლე გითხრათ, არ მქონდა მოლოდინი, რომ ომი დაიწყებოდა, მითუმეტეს თუ წლობით გაგრძელდებოდა. პირველ დღეებში როგორც ამბობდნენ, მეგონა შეტევა რამდენიმე დღეში დასრულდებოდა. ახლა ვერ გეტყვით რა იქნება, არ ვიცი როდის შეიძლება დასრულდეს, ან რა განვითარება ექნება. ეს არის მიზანმიმართული გენოციდი! არ უყვართ უკრაინელები და შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჯავრს იყრიან. არ ვიცი რას უშლიან, საშინელება ტრიალებს, მართლაც გენოციდია, სხვა ვერაფერს დაარქმევ. ძალიან განვიცდი ამ ტრაგედიას. რუსეთსა და უკრაინას სულ სხვა ისტორიული კავშირი აქვს, უამრავი შერეული ოჯახია, მისვლა-მოსვლა ჰქონდათ და ასეთი გაგრძელება არ უნდა ყოფილიყო. ახლა ისეთი მტრული დამოკიდებულებაა მათ შორის, არ ვიცი როდის აღდგება, ან ოდესამე აღდგება თუ არა. ალბათ საუკუნეების განმავლობაში არ დაავინწყდება უკრაინას, იმხელა ტკივილი მიაყენეს. მინდა მშვიდობა დამყარდეს და პუილი აღარ იყოს!...

— როგორ ფიქრობთ, რატომ დაიწყო რუსეთმა ომი და რატომაა მათი მეთოდები ასე სასტიკი?

— გაოგნებული ვარ, არ ვიცი ეს ომი რატომ დაიწყო. საქართველოს შემთხვევაში კიდევ გასაგებია რუსეთის აგრესია, მაგრამ უკრაინელები ხომ მათგან განუყოფელი ერთი, რატომ ებრძვიან? სიმართლე გითხრათ, არ მქონდა მოლოდინი, რომ ომი დაიწყებოდა, მითუმეტეს თუ წლობით გაგრძელდებოდა. პირველ დღეებში როგორც ამბობდნენ, მეგონა შეტევა რამდენიმე დღეში დასრულდებოდა. ახლა ვერ გეტყვით რა იქნება, არ ვიცი როდის შეიძლება დასრულდეს, ან რა განვითარება ექნება. ეს არის მიზანმიმართული გენოციდი! არ უყვართ უკრაინელები და შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჯავრს იყრიან. არ ვიცი რას უშლიან, საშინელება ტრიალებს, მართლაც გენოციდია, სხვა ვერაფერს დაარქმევ. ძალიან განვიცდი ამ ტრაგედიას. რუსეთსა და უკრაინას სულ სხვა ისტორიული კავშირი აქვს, უამრავი შერეული ოჯახია, მისვლა-მოსვლა ჰქონდათ და ასეთი გაგრძელება არ უნდა ყოფილიყო. ახლა ისეთი მტრული დამოკიდებულებაა მათ შორის, არ ვიცი როდის აღდგება, ან ოდესამე აღდგება თუ არა. ალბათ საუკუნეების განმავლობაში არ დაავინწყდება უკრაინას, იმხელა ტკივილი მიაყენეს. მინდა მშვიდობა დამყარდეს და პუილი აღარ იყოს!...

მთავარია ომი დასრულდეს და

უკრაინელები ისეთი მშრომელები არიან, მალე ფეხზე დააყენებენ ქვეყანას. დარწმუნებული ვარ, მალე მიხედავენ დანგრეულ ქალაქებს. ქუჩებში, რეგიონებში, სოფლებში რომ გაიარო, გესიამოვნება, ერთ მუჭა მინასაც არ ტოვებენ დაუშუშავებელს. ჩემი აზრით, უკრაინა რომ ვითარდებოდა და სულ წინ მიდიოდა, ეს ვერ აიტანა რუსეთმა. საოცარი ხალხია, სამუშაო საათებში ქუჩაში უსაქმოდ ვერ ნახავდით ვერცერთ ადამიანს. ვისაც მუშაობა უნდა, ყველა დასაქმებული იყო და ნორმალურად ცხოვრობდა. ახლა კი ქვეყანა განადგურდა, უამრავი ქარხანა დაინგრა, ეკონომიკაც დაეცა. 8 მილიონი ადამიანი ქვეყნიდან რომ გავა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მდგომარეობაში იქნება უკრაინა, ორწლიანი ამხელა საბრძოლო დარტყმების შემდეგ... ძლიერი ერთი რომ არ იყოს, აქამდე ვერ გაძლებდნენ, ამხელა ოკუპანტ ქვეყანას ასე მედგრად ვერ დაუდგებოდნენ. უკრაინამ გერმანელი ფაშისტები გატეხა და ვფიქრობ, რუს ფაშისტებსაც სათანადოდ მიხედავენ. მთავარია ომი დამთავრდეს და ეს ქვეყანა მალე წამოდგება ფეხზე. **საოცარი არია. ბავშვი რომ უნდა იხსნას, პარტიზანული ჯარისკაცების დახმარებით უკრაინაში უნდა წავიდეთ. უკრაინაში უნდა წავიდეთ.**

— რა საერთო თვისებებია უკრაინელებსა და ქართველებს შორის, როგორი სტუმარ-მასპინძლობა ან მეზობლობა იციან?

— კარგი ურთიერთობები გვაქვს ადგილობრივებთან. 22 წელი ძალიან დიდი დროა ამ კავშირებისთვის. სიმართლე გითხრათ, ერთხელაც არ მიგრძენია, რომ მათიანი არ ვარ. უკრაინული ენა ვერაფრით ვერ ვისწავლე, მუდმივად რუსულად ვსაუბრობდი და შეფერხება არ შემქმნია. ბევრი მეგობარი და ახლობელი გვყავს იქ. რალაცეებში ძალიან გვანან ქართულში, ბევრი საერთო გვაქვს და პარალელურად გავლაპარაკებთ შიქლზე გვანან შორის. უკრაინაშიც უყვართ სტუმარ-მასპინძლობა, შეიძლება ზოგჯერ ჩვენზე უკეთესადაც იქაც არის მეზობლური ურთიერთობები, ალბათ რეგიონებში და სოფლებში უფრო მეტად, ვიდრე დიდ ქალაქებში.

— იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის მთავარსარდალი ცნობილი იუმორისტი და ტელენამყვანი გახდა, რამდენად კმაყოფილია ხალხი მისი არჩევით?

— ჩემი აზრით, ვოლოდიმირ ზელენსკიმ მოსახლეობის იმედი წამდვილად გაამართლა. 2019 წელს, როცა პირველად საპრეზიდენტო კანდიდატურა წამოაყენა, ვინაიდან ცნობილი იუმორისტი იყო, ვიფიქრე ხუმრობა იყო... მაგრამ აღმოჩნდა, რომ 75%-იანი მხარდაჭერით გახდა ქვეყნის პრეზიდენტი და მოსახლეობამ მხარი დაუჭირა, ამომრჩეველი იმედით შეხვდა. არ ვიცი მის გაპრეზიდენტებაში რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, მაგრამ აშკარაა, რომ გულწრფელი მხარდაჭერა მიიღო. ზელენსკი საოცრად კარგი პიროვნებაა, პატიოსანი და კარგი ოჯახის შვილი. კარგად უძღვება პროცესებს, სამომავლოდ რა იქნება, ვნახოთ... როცა ამხელა პრობლემები აქვს ქვეყანას, რთულია სახელმწიფო მყარად ფუნქციონირებდეს. მშვიდობა მინდა ვუსწავრო უკრაინას და მთელ მსოფლიოს!...

ესაუბრა ილია მარტყოფილი



დასაწყისი გვ./

ლევანმა 90-ში რომ გადაინაცვლა, გერმანელ-მაც მომხატვა წონაში და მისსეში მსოფლიოს ჩემპიონატის გადაწყვეტი პატივითა ისევ თედაშვილთან დათმო.

ლოტი პაპარსონი

ერთხელ ჯონ პეტერსონი თბილისის საერთაშორისო ტურნირს ეწვია. ამერიკის გუნდი სასტუმრო „თბილისში“ დაბინავდა. ლევანმა ჯონი კახეთში წაიყვანა. მამამ შვილი და მისი ამერიკელი მეგობარი მარანში შეიყვანა, ქვეყნის თავი მოხდა. ლენის სურნელი მოედო იქაურებს. ჯონმა გასინჯა ქარვისფერი სითხე, მოეწონა. ლევანმა შესთავაზა, ამერიკულად დავლით, ვითომ კოკა-კოლას ვწრუპავთო: გრძელი რეზინის მლანგი მუაზე გაჭრა, თითო ბოლო ქვეყნში ჩაუშვა, მეორეთი კი ლენის სმა დაინყეს.

გვარაანად გამოთვრინე. მეორე დღით ლევანმა სასტუმროში მიაკითხა ამერიკელს. ჯონი სანოლზე იწვა პირსახოცით თავსაჯრული. ხმას არ იღებდა. ქართველმა ფალავანმა ბოცებით ლენი აიტანა ნომერში, აბაზანაში ჩაასხა და სტუმარს უთხრა, ადე, „აბაზანაზე“ უნდა გამოგიყვანო. ჩააწვინა აბაზანაში. ეტყობა, ლენის სურნელმა იმოქმედა, ჯონი 10 წუთის შემდეგ ჩიტვით იყო. ეს არ კარგი რამე გციოდნათო, უთხრა ლევანს გამოცოცხლებულმა პეტერსონმა.

ბაბალონი

1976 წლის 31 ივლისს მონრეალის ოლიმპიურ ხალიჩაზე 90 კილოში ბოლო ოლიმპიური ოქროს მედლის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ერთმანეთის პირსახოცით თავსაჯრული ჩემპიონები — ლევან თედაშვილი და ამერიკელი ბენ პეტერსონი იდგნენ. ოთხი წლის წინ ისინი მოუხეხნენ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ჯონიმ, რომელსაც მონრეალში ოლიმპიური ჩემპიონობა მოეპოვებინა და ძმას სუკუნდანტობდა, ბენს უთხრა თუმცა — „ტედის“ შენი შემონება გადაუწყვეტათო. „ერჩენა, თავის წონაში დარჩენილიყო, ჩემთან ვერაფერს გახდებდა“, — იმედინად იყო მოუხეხნის გმირი.

„ამერიკელები მონრეალში თავს მასპინძლებად გრძობდნენ, — იგონებს ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი ლევანი. — ვიცოდი, არბიტრები ოლიმპიადის ბოლო დღეს ამერიკელის მხარეს იქნებოდნენ, ამიტომ დღეს ვინაღობის წინ საიდუმლო სცენარი შევიმუშავე — მსაჯები უნდა დამერწმუნებინა, რომ ბენი მათ დაუხმარებლადც მომიგებდა.

მართლაც, პირველი ქულა ავიღე თუ არა, ვცდილობდი, არ მეჭიდებოდა. არბიტრებმა გაფრთხილება მომცეს და ანგარიშიც გაათანაბრდა — 1:1. პირველი პერიოდი ფრედ — 22 დამთავრდა. საბჭოთა დელეგაციის წევრები შემოვიხეხნენ მიყურებდნენ. მათ ხომ ჩემი საიდუმლო გეგმის შესახებ არაფერი იცოდნენ“.

მე-2 პერიოდი თედაშვილმა 64 მოიგო. მე-3 ამეძი, სანამ მწვრთნელები და ბენი აზრზე მო-

„მასთან ჭიდაობა შეუძლებელია“



ვიდოდნენ, ქართველმა ფალავანმა სუთი ქულა აართვა ამერიკელს და 11:5 გაიმარჯვა. გაოგნებული უყურებდნენ უკვე ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს. მეორე დღეს „მონრეალ სტარს“ კორესპონდენტი წერდა: „ტედ“ თანამედროვე სპორტსმენის ეტალონი. იგი ყველაზე დიდია მსოფლიოში, ყველაზე ძლიერი და სრულყოფილი, ამიტომაც აღიარეს მონრეალის ოლიმპიური ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ“.

სარაბა და გომიანი

ალბათ, ყველას გენახავს მხატვრული ფილმის ტყის ძმებზე — გიორგი შენგელიას „სარაბა და გოგია“. მთავარ როლებს სახელოვანი სპორტსმენები ასრულებდნენ: გოგია კენკიშვილი — ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებული, მსოფლიოს სუთგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი ლევან თედაშვილი, სარაბა ჯიბუტს — ველოსპორტში 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, სპრინტში მსოფლიოს ჩემპიონატების სამივე სინჯის მედლის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონი ომარ ფსაკაძე.

1965 წელს ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში ველომობლობა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ომარმა საფრანგეთის სიამაყე, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი დანიელ მორელიონი (სმ ლეგენდარულმა სპორტსმენმა კარიერაში ოლიმპიური თამაშების სუთი (სამი ოქროსი) და მსოფლიოს ჩემპიონატების 16 (რვა ოქროსი) მედალი მოიპოვა) დაამარცხა, ფინალში კი იტალიელ ჯოვანი ტურინის სილია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ეს იყო საბჭოთა ველოსპორტის ისტორიაში უდიდესი გამარჯვება, რადგან მანამდე ამგვარ სიმაღლეს არავინ შეასწავდა. ქართველმა სპორტს-

მენმა იტალიელი და ფრანგი სპრინტერების ჰეგემონია დაამხო. იმავე წელს ჟურნალისტებმა ომარ ფსაკაძე საბჭოთა კავშირის №1 სპორტსმენად დაასახელეს.

თუმცა, ქართველ ველოსიპედისტს ყველაზე დიდი აღიარება ესპანეთშივე ერგო: 10 სექტემბერს, როცა სან-სებასტიანში მან ფინალური მხევედრა მოიგო, მისგან ძლეულ იტალიელს სამობლოდან აცნობეს, ვაჟიშვილი შეგეძინათო. ტურინი ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცობის დამფასებელი — თავის ახალშობილ ყრმას ომარი დაარქვა...

1987 წელს სახელოვანმა კინორეჟისორმა გიორგი შენგელიამ ტყის ძმებზე ფილმის გადაღება გადაწყვიტა და მთავარ როლებში ტიტულოვანი სპორტსმენების მინევეა გადაწყვიტა. დასაყოლებლად კაკაბეთში ჩაკითხა ლევან თედაშვილს — 6.000 მანეთი მოგცემო ჰინორარს. იმ დროისთვის ეს ურგო თანხა არ იყო. ბატონი ლევანი მაშინ ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახლდათ. სეფიდან 8.000 მანეთი გამოუღო და გიორგი შენგელიასათვის უთქვამს — ა, ბატონო, მე უფრო მეტს მოგცემთ, ოღონდ თავი დამანებეთო.

ვერ ეტყოდა თუ რა — პირდაპირი და პირში მიქმელი კაცი იყო ბატონი ლევანი და ყოველთვის იმას ამბობდა და აკეთებდა, რასაც ფექობდა. ომარ ფსაკაძეც არ იყო თანახმა ფილმში მონაწილეობაზე, მაგრამ საქმეში ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიშვილი ჩაერია და... მოგვიანებით გიორგი შენგელია იტყვის, ნამდვილი ვაჟკაცები მჭირდებოდა, მსახიობები კი ასეთები ვერ იქნებოდნენ.

ფილმში სარაბას ძმის — სიმონას როლს ანსახიერებს ცნობილი მწერალი, მრავალი პრემიის

ლაურეატი, სპორტის ჟურნალისტი ნუგზარ მათაძე, რომელიც, სამწუხაროდ, 64 წლისა გარდაიცვალა. გასული საუკუნის 80-იან წლებში იგი გაზეთ „ლელოში“ მუშაობდა. ხშირად ყვებოდა ფილმის გადაღებასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს, განსაკუთრებით ლევან თედაშვილის ოინებს იხსენებდა.

ზოგი რამ მან ლეგენდარული ფალავანსადმი მიძღვნილ ნარკვევებზე გამოიყენა. გადაღებებისას ჩვენ ერთგვარად შებოქოლები ვიყავით, ლევანი კი, მუდამ ლიმილიანი და ოხუნჯობის ხასიათზე მყოფი, თავს ისე გრძობდა, თითქოს მთელი ცხოვრება სცენაზე გაეტარებინოსო, ამბობდა.

არც გაგვიკვირვებია, რადგან ლევან თედაშვილის ხალიჩაზე თითოეული გასვლა ხომ ერთ ნარმოდგენად ღირდა: მხრებგაშლილი, შუბლ-აქსნლი და ლიმილიანი ვეფხვივით აემატებოდა მეტოქეს, ზოგს კი კატათავგობანას ეთამებოდა ორთაბრძოლისას. მისმა ლიმილმა ბევრ სახელოვან ფალავანს გამოაცალა ფეხქვეშ საყრდენი...

საშლავა და გაფუჭებული ღუბლი

ნუგზარ მათაძის მონათბრობს მივადევნით თვალი — ბატონი ლევანი გადაღებების შემდეგ ქეიფისთვის ყოველთვის პოულობდაო საბაბს: „თეთრ „ნივანში“ ვსხდებით და ქვემოთ მივფაყვავებთ. საეჭვოდ გამოხარულებული ლევანი იცინის, ცქმუტავს, ადგილზე ვერ ისვენებს. ჩავდევართ კაკაბეთში. იქ დაბარებული ვივადექით ერთ სახლს და მანქანიდან გადავდევართ. სახლიდან ჩამიჩემი არ ისმის...“

ლასტებით შემოღობილ ბაჭში ექვსი თუ შვიდი ბატკანი მიხეტებოდა ერთმანეთს. ლევანი მე მიყურებს.

- აბა, რომელი ნაყიყვანით? - ყველაზე მოხრდილი ვორჩე... სახლის პატრონს ბარათი დაუტოვა — „ლევანამ ნაყიყვანე“. ბატკანი მანქანაში ჩასვა და... საგარეჯოს დაბურულ ტყეში შუალამდე ისმოდა მოქეფეთა სიძვრა და მუხურების ბათქაბუთქი. ერთი ეპიზოდიც ბატონი ნუგზარის მონათბრობიდან: ფილმში არის ასეთი სცენა — სარაბა და გოგია თავისი ბიჭებით ციხეს დაეცემიან და სარაბას ძმას ათავისუფლებენ. ციხის ეზოში მას ტყვია ხვდება.

„ომარი მხრებში ხელს მავლებს და გალავნისკენ მიმართავს, — წერს ნუგზარ მათაძე. — მე ვნებარ, მკედარს ვთანამობ. ამ დროს კადრში შემოვრბის მათეზომარჯვებული ლევან თედაშვილი და ყვირის: დროზე, ბიჭო, დროზე, გაცვიდა ხანმამა!... ის ღუბლი გაგვიფუჭდა“.

ღუბლი კი გაფუჭდა, მაგრამ საბოლოოდ შესანიშნავი ფილმი გამოვიდა. ტამკენტის მსოფლიო კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ლევან თედაშვილს „ოქროსი არწ“ გადასცეს. ეს ჯილდო დღეს მის სპორტულ კოლექციას ამშვენებს...

ხალიჩაზე ხომ შეუდარებელი იყო, ახალ ამპლუაშიც დაამახსოვრა თავი მსოფლიოს...

ახალგაზრდული პროექტების შარავა დაიწყო

21 თებერვალს „დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეის“ წევრები და ევროპის ფონდის წარმომადგენლები „ახალგაზრდული იდეის“ მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შედეგად შემოსული პროექტის ავტორებს შეხვდნენ.

„მოგესხენებათ, ჩვენი კომიტეტი და ევროპის ფონდი ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე მრავალი წელია სხვადასხვა გზებით ვცდილობთ ახალგაზრდებს განვითარებაში ხელი შევუწყეთ. დედოფლისწყაროს ახალგაზრდულმა იდეამ არსებობის მანძილზე არაერთი თაობა გამოუშვა. ევროპის ფონდის მხარდაჭერით ძალიან ბევრი ახალგაზრდული ინიციატივა დაფინანსდა, რითაც დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში უამრავი შესაძლებლობა შექმნა, როგორც ახალგაზრდებისთვის ისე უფროსი ასაკის მოქალაქეებისთვის. ეს ინიციატივები კი ძირითადად სკოლის მოსწავლეებისგან მოდიოდა.

ყოველწლიურად მთელს მუნიციპალიტეტში ვატარებთ გამოკითხვას. შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ვარჩევთ სამ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც მოსახლეობას და ახალგაზრდებს ანუხებთ და ამ თემების ირგვლივ ვაცხადებთ საგრანტო პროექტების კონკურსს. თითოეული პროექტის ფარგლებში გამოიყოფა გარკვეული თანხა, რითაც ახალგაზრდებს საკუთარი იდეების ხორცშესხმა შეუძლიათ.

წელს ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით გამოვლინდა სამი პროორიტეტული საკითხი დედო-

ფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის. ესენია: ჯანსაღი ცხოვრების წესი; კლასგარეშე აქტივობები და ნარჩენების მართვა.

ამ თემების ირგვლივ ადგილობრივ ახალგაზრდებს 7 თებერვლამდე შეეძლოთ საპროექტო განაცხადების ჩვენთან შემოტანა. წელს შემოვიდა ექვსი პროექტი. ესენია:

1. მწვანე მომავალი — გიორგი მესრიშვილი (ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა)
2. 3D რეალობაში სწავლისა და შემეცნების ტრენინგები — ნინო ხუციშვილი (№1 სკოლა)
3. მწვანე ხეივანი — ხიდი სტატიკიდან დინამიკამდე — ნიკოლოზ იაკობაშვილი (ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა)
4. გზა ჯანსაღი ცხოვრებისკენ — მარიამ ტოკლიკიშვილი (№1 საჯარო სკოლა)
5. Life imitates art — ანა ჯამასიშვილი (ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა)
6. ზიზიკური კულტურა სკოლაში — ინოლა უთრეთაშვილი (მაჩხაანის საჯარო სკოლა).

პროექტების ავტორებს ევროპის ფონდის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდით და უშუალოდ მათგან მოვისმინეთ მათი ინიციატივებისა და არგუმენტების შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წელსაც ძალიან საინტერესო პროექტები წარმოადგინეს ახალგაზრდებმა და კომიტეტის თითოეული წევრი სასიამოვნოდ აღფრთოვანდით პროექტის ავტორების მისწრაფებით, მოძებნონ გადაჭრის გზები და მათ თემში არსებული გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაში აქტიურად ჩაერთონ.

კომიტეტის წინაშე წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები ევროპის ფონდში და კომიტეტში რამდენიმე საფეხურს გაივლის და განხილვის დასრულების შემდეგ გამოვლინდება წლევანდელი გამარჯვებული პროექტები. მათი ვინაობა უახლოეს მომავალში გაიკვება“—განაცხადა ახალგაზრდული იდეის კომიტეტის წევრმა გიორგი ხუციშვილმა.



1866 წელს შირაქის საპრისტავო სიღნაღის მაზრისგან დამოუკიდებლად მთიხსენიებოდა

ცნობილია, რომ ძველ წყაროებში დედოფლისწყაროს ტერიტორია სიღნაღის მაზრაში შედიოდა, თუმცა როგორც უძველეს ქართულ პრესაშია შემონახული, შირაქი სიღნაღისგან გამიჯნულიც ყოფილა:

1866 წ. — „მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ, დიდმა მთავარმა, კავკასიის ნამესტნიკმა, დაამტკიცა წესდება, სასოფლო საზოგადოებებზედ, იმათ მართვაზედ. საჭირო იყო სათანამდებო პირების ამორჩევა. ეს ძნელი შრომა გაათავეს და ამისი ნაყოფი იყო სასოფლო საზოგადოების დაწესება.

- სიღნაღის უაზდი:
- სოფლის საზოგადოება — 28
 - სოფლის მამა-სახლისი — 28
 - იმათი თანაშემწენი — 28
 - სოფლის მსაჯული — 104
 - შირაქის შმთავრის საპრისტავოში
 - სოფლის საზოგადოება — 4
 - სოფლის მამა-სახლისი — 4
 - იმათნი თანაშემწენი — 9
 - სოფლის მსაჯული — 13

მისი იმპერატორებითუმაღლესობა ხელმწიფე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ერევნის გუბერნიდამ ტფილისს დაბრუნდა და დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულთან ერთად ნაბძანდენ ბორჯომს, ზაფხულში საცხოვრებლად. ბორჯომისკენე ნაბძანდენ მათის უავგუტვის სვილები დიდნი მთავარნი ნიკოლოზ, მიხეილ, გიორგი და ალექსანდრე მიხეილის ძენი და მთავრინა ანასტასია მიხეილის ასული“.

27 მაისი 1866 წელი. ბაზეთი „დროუპა“

მზია, თენგიზი, ილია და ნინო (მარიამ-მაგდალინა) კობაძეები სამძიმარს უცხადებენ იზო, ნანა და ნათელა აფციაურების ოჯახებს ძმის ავთო აფციაურის გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები: ნანა ჭიჭინაძე და თამილა ნადირაშვილი ოჯახებით ვიზიარებთ ნანა აფციაურის მწუხარებას ძმის ავთო აფციაურის გარდაცვალების გამო.

დაიკრძალა 22 თებერვალს, ქ.დედოფლისწყაროში.

სამყარო სხვა თვალით...


სოფელ არხილოსკალოში მცხოვრები 4 შვილის დედა ხელსაქმითაა გატაცებული და საოცარ ნამუშევრებს ქმნის. ლიკა კირკიტაძე დედაქალაქიდან სოფელში საცხოვრებლად რამდენიმე თვეა, დაბრუნდა. ამბობს, რომ სამუდამოდ ჩამოვიდა და შვილებიც არხილოსკალოს სკოლაში შეიყვანა. ცდილობს, ხელსაქმეც განვითაროს და სოფელში დასამკვიდრებლად სხვა გზაც გამოიხილოს.



ქენა რთულია. გამოფენებშიც სმირად ვმონანილებო, ძირითადად თბილისში, „ექსპო ჯორჯიას“ და ეროვნული ბიბლიოთეკის გამოფენებში. 2021 წელს „მქარგველობის და ხელმარჯვეობის“ ორგანიზაციის მიერ გამართულ კონკურსში მეორე ადგილი დავიკავე, ხოლო 2022 წელს კი, ამავე კონკურსში

ლიკა კირკიტაძე: „ბავშვობიდან ვქსოვდი, როგორც ჩხირებით, ასევე საქსოვ დაზვანე. დედისგან გამომეყვას ნიჭი, არ მასსოვს რატომ დავიწყე, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ ხელსაქმე ჩემი შინაგანი სულის ამოძახილი და ფიქრებია. თვითნასწავლი ვარ, სამი წელია, აქტიურად ჩავეხტი ამ საქმეში. ნამუშევრები გულის მესაიდუმლები არიან, ჩემს ყველა გრძნობას თითოეულ ნამუშევარში ვაქსოვ. შესწავლის პროცესში მქონდა დაბრკოლებები. ძალიან მინდოდა მესწავლა, მაგრამ ყველა კარს მიღებდა ერთი დღით, როცა შემატყობდნენ ნიჭს, უკვე აღარ სჭირდებოდათ კონკურენტები. ატლასის ლენტებით როცა სწავლა დავაპირე, მასწავლებელთან შეხვედრაზე მომზადებული, ვეღარ წავედი, რადგან უარი მითხრა. მონდომებულ და იმედგაცრუებულ ადამიანს ყველაფერი შეუძლია.“

ძირითადად ნემსითა და ძაფით ვმუშაობ, ატლასის ლენტებს ვიყენებ, ზოგჯერ ბისერებსაც. ძირითადად ყვავილები მაქვს შექმნილი. შემიძლია თემატიკა შევცვალო, მაგრამ ვაკვირდები, რომ ძალიან დიდი მადლი გადმოდის წმინდანების ქარგვისას, ამიტომ ამ ეტაპზე უფრო ხატმწერი ვარ... საკუთარი მოძღვარისგან მაქვს კურთხევა, მისი ლოცვა-კურთხევა ძალიან მეხმარება ამ ყველაფერში. ზოგადად, ძვირადღირებული საქმეა, მასალების შე-



პირველი ადგილის სიგელი გადმომეცა, ნომინაციაში „საახალწლო წინდა 2022“. დავიბადე და გავიზარდე გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, 2001 წელს დავოჯახდი და 5 წლის განმავლობაში სოფელ არხილოსკალოში ვიცხოვრე, შემდეგ მეუღლე სამუშაოდ თბილისში გადავიდა და ჩვენც დედაქალაქში წავედი. 17 წლის შემდეგ გადავწყვიტე და სამი თვეა რაც არხილოსკალოში დავბრუნდი. თბილისში ქირით ვცხოვრობდი და რადგან სახლი და მიწა აქ გვექონდა, ალბათ უფალსაც ასე უნდოდა ჩემს ფუძემდებლებს, მივეჩვიე მის ნებას და ახლა აქ ვარ. საფიქრალი ბევრი მაქვს, საიდან დავიწყო, რით და როგორ დავიწყო ცხოვრება.

— თუმცა, სამედიცინო განათლება გაქვთ...
— დიას, წითელ დიპლომზე დამთავრებული მაქვს სამედიცინო კოლეჯი, უფროსი მედიკოსი სპეციალიზაციით, „ბე-

ბია ქალი“. სამედიცინო განათლებას მხოლოდ ოჯახში ვიყენებ. არავისი გავლენა არ ყოფილა, ეს ჩემი არჩევანი იყო, რომ ხელსაქმე დამეწყო. დიასახლისობამ ჩემში ხელოვანი გააღვიძა. ადამიანს როცა ბუნება, ყვავილები, ზაფხული გიყვარს, სამყაროს სხვა თვალით უყურებ. ამ დროს ცდილობ, ყველაფერი შენში მოაქციო, გადასაყრელი ნივთებისგან რაიმე სიახლე შექმნა. უფალი იძლევა სხვადასხვა ნიჭსა და შესაძლებლობას. ამიტომაც ვთვლი, რომ ცხოვრებამ პროფესია ხელოვნებით შემიცვალა. მთავარია, დღეს რაიმე მოვისურვო, შეუძლებლად არაფერი მიმჩნია, ჩემს შვილებსაც ყველაფრის შემძლე მივანიჭებ, იმედი აქვთ დედა გააკეთებს და დედის დახმარებით ყველაფერს შეძლებენ.

ზოგადად, ცხოვრება გაუარესდა, სოფელი დაცალა, ახალგაზრდობა ადგილზე აღარაა, თითქმის ყველა წასულია. სოფელს ასაკოვანი ხალხი აცოცხლებს. ხალხი, რომელიც ძალიან თბილია და შეუძლიათ სითბო გაჩვენონ და გაგაბედნიერონ. ქალაქთან შე-



— გაყიდვა მენანება, ასე მგონია გულის ნაწილი თან გაჰყვება. შემიძლია შეკვეთა ავიღო, თავიდანვე განწყობილი ვიქნები, რომ ის სხვისია, მათთვის ვამზადებ და ასე ნამუშევრის გაყიდვა უფრო ადვილი იქნება. ვფიქრობდი, სარეკლამოდ ყვავილების რეალიზაცია დამეწყო, მაგრამ როგორც ახლად ჩამოსული, ვერ ვასწრებ. თვითველ ნამუშევარს განსაკუთრებული დრო სჭირდება. იმედია მომავალი წლისთვის განვავხორციელებ.

— როგორია სამომავლო გეგმები?

— მიფიქრია იმაზეც, რომ ბავშვები ავიყვანო, ჯგუფი შევექმნა, გუნდური მუშაობით ერთმანეთში ინტერესი გავზარდო, სტიმული მივცე. მაქვს პატარა გეგმები, მაგრამ ჯერ მინდა უკეთ გავეცნო სოფელს, მეფრინველეობას უფრო ვანიჭებ უპირატესობას და მეხილეობას, სხვადასხვა სახეობის ჩირი მინდა დავამზადო, საკონდიტროს შექმნაზეც ვფიქრობ, მაგრამ, ჯერჯერობით, შესაბამისი პირობები არ მაქვს.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი



დარებით მსიამოვნებს სოფლის ეზო, მზის სხივები, ყვავილები, სიმყუდროვე, ბუნება.

საყოფაცხოვრებო პირობებში დადებითი ცვლილებებიც დამხვდა. სოფლის გზები განახლებულია, ლამპიონები ჩართეს, საოცნებო ბუნებრივი აირი და წყალი გვაქვს, აღარ გვიწევს წვიმის წყლის მოხმარება და ეს დიდი ბედნიერებაა. ის ხუთი წელი ჯოჯოხეთი იყო, მახსოვს როგორ ვაგროვებდით წვიმის წყალს. მადლობა უფალს ამ პრობლემის მოგვარებისთვის. ცხოვრება ძნელია, რასაც ვუყურებ სოფლად ცხოვრობს ის, ვისაც სახნავსათესი აქვს, ტექნიკა და საქონელი ჰყავს. ძნელია თავის გატანა, მაგრამ ვფიქრობ ღმერთი თავის გაჩენილს უმონყალოდ არ დატოვებს, იმდენს მოგვცემს რამდენიც საჭიროა, აუცილებლად გამოჩნდება გზა, რომ ადამიანმა თავი გაიტანოს.

— არ გიფიქრიათ, რომ ხელსაქმე შემოსავლის წყაროდ აქციოთ?...

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

თამარიკო პანაჩაშვილი!
ჩვენი ძვირფასო თამარიკო, წლების განმავლობაში ერთად ვმუშობდით. ბევრი სასიამოვნო მოგონება გვაკავშირებს... თებერვლის თვეში დიდი ზარ-ზეიმით აღვნიშნავდით შენს დაბადების დღეს. მოუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამსახური გაუქმდა, ერთმანეთი არ დავკვირავდით და დღემდე გრძელდება ჩვენი მეგობრობა.
„ნუ დაპარებავ ძველსა მზასა, ნურცა ძველსა მიმობარსა“.
გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვენიერებას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას თქვენს ოჯახის წევრებთან ერთად.
პატივისცემით, დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ზურაბ თითქაძე, ანტონილი ჯანაშვილი, იპარი ჭაჭავაძე, თამაზ ჯანაშვილი, მირაზ ფიროსმანაშვილი, ჯემალ კვანციაშვილი, აბაქი სამუკაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ნანა ავთიანი, მამალა ჯორჯიანი, მამალა მამულაშვილი.

რენი ჭრალაშვილი!
ძვირფასო რენი, გილოცავთ საიუბილეო თარიღს! გისურვებთ ჯანმრთელობას მხნეობას, დიდხანს სიცოცხლეს შვილთან, ახლობლებთან და ჩვენთან ერთად. ყოველთვის გვახსოვდარ და გვიყვარხარ „შირაქელებს“.
პატივისცემით, შანი „შირაქელები“

ჭ ა დ რ ა კ ი
17-18 თებერვალს ქ. თელავში ჩატარდა 10 და 16 წლამდე ასაკის ვაჟთა და გოგონათა რეგიონალური ტურნირი, რომელიც ტრადიციულად, შვიცარული სისტემით 7 ტურად წარიმართა. ორგანიზატორი - ქ.თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება და კახეთის ჭადრაკის ფედერაცია. მთავარი მსაჯე - გიორგი (გოგი) კვიციანი.

დედოფლისწყაროდან მონაწილეობდა 6 მოჭადრაკე. 16 წლის ვაჟებში მეორე ადგილი და ამ ასაკში საქართველოს ჩემპიონატზე საგზური მოიპოვა 13 წლის **ოთარ ელოშვილმა**. 10 წლიან ვაჟებში კახეთში აკურა ლიდერია **მათე მარტყოფლიშვილი**, მაგრამ 18 თებერვალს ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესების გამო მათემ ვერ შეინარჩუნა ლიდერის (17 თებერვალს მან ოთხივე პარტია დიდებულად მოიგო) პოზიცია და ბრინჯაოს დასაჯერდა.
ამრიგად დამთავრდა 2024 წლის რეგიონალური შესარჩევი ტურნირები 8-10-12-14-16-18 წლამდელთა ასაკობრივ კატეგორიაში. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბავშვების შედეგები შემდეგნაირია: 18 წლის გოგონები - ოქრო; 16 წლის ვაჟები - ვერცხლი, 14 წლის ვაჟები - ვერცხლი, 10 წლის ვაჟები - ბრინჯაო. 23 თებერვლიდან იწყება საქართველოს ჩემპიონატები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ამ ჩემპიონატებზე გამარჯვებული ბავშვები მიიღებენ საგზურს მსოფლიო დეფინანსებით. ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდა მოჭადრაკეებს წარმატებები.

საპარტიველოს ჭადრაკის ფედერაცია



ა მ ი ნ დ ი	დ ე დ ო ფ ლ ი ს ნ ყ ა რ ო
ორშაბათი 26.02 დღე 1°	სამშაბათი 27.02 ღამი -5°
ოთხშაბათი 28.02 დღე 4°	ხუთშაბათი 29.02 ღამი -4°
პარასკევი 01.03 დღე 6°	შაბათი 02.03 ღამი -2°
კვირა 03.03 დღე 8°	ღამი 0°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავტორი.
სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჯანაშვილი; ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტიკა); ხათუნა ბინაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქინქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.
რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)
რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში - 20 ლარი